1974/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 2 (397)

1974 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (397) თებერვალი 1974 წელი


## შ ი ნ ა ა რ ს ი


ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

განყოფილება პირველი

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.
27. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის რ. ნ. გოშაძის გათავისუფლების შესახებ.
28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.
29. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

განყოფილება მეორე

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ შ. ი. კერესელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ს. მერაბიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ა. [illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. კ. გუნჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ე. ვადოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ნ. უკლებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. კ. შუბითიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ე. აბულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გეორგ გრიგის — გიორგი ანანიას ძე გრიგორიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ი. კ. ენიკოლოფოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ე. კ. ზედგინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. გ. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების სესიებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1973 წლის 19 ივლისის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 30, მუხ. 392) შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ვიდრე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუსაბამებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებს, გამოიყენება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის მოქმედი აქტები, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან საფუძვლებს.

2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები გამოიყენება სახალხო განათლების დარგში მართლურთიერთობის მიმართ, რომელიც წარმოიქმნება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ანუ 1974 წლის 1 იანვრიდან.

სახალხო განათლების დარგში მართლურთიერთობაში, რომელიც წარმოიქმნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, უფლებები და მოვალეობანი, რომლებიც წარმოიქმნება 1974 წლის 1 იანვრის შემდეგ, განისაზღვრება საფუძვლების შესაბამისად.

3. ბავშვებისა და მოზარდების მიღება სკოლა-ინტერნატებში და საბავშვო სახლებში, რასაც ითვალისწინებენ საფუძვლების 23-ე და 24-ე მუხლები, ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

4. განმარტებულ იქნეს, რომ საფუძვლების 26-ე მუხლით გათვალისწინებულ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომუშავე ახალგაზრდობისათვის განეკუთვნებიან აგრეთვე სპეციალური საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლები მოწყობილნი იმ პირთათვის, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მუშაობენ და რომლებსაც აკლიათ მხედველობა, სმენა და მეტყველება. საფუძვლების 26-ე მუხლის წესები ეხება მომუშავე ახალგაზრდობის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღნიშნულ პირთათვის მოწყობილ სპეციალურ კლასებსაც.

5. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საფუძვლების 30-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით განსაზღვროს კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც სასწავლებლებში გამონაკლისის სახით შეიძლება მიიღონ პირები, რომლებსაც არა აქვთ ამ სასწავლებლებში შესვლისათვის საჭირო განათლება.

6. საფუძვლების 50-ე მუხლის პირველი ნაწილის წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაშვების პირობებს, არ ვრცელ-

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

დება იმ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო განათლება, მაგრამ აქვთ პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და 1976 წლის 1 იანვრამდე დაშვებული იქნებიან პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი შეუსაბამოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1973 წლის 17 დეკემბერი.

№ 5200—VIII.

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 26 ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1974 წლის 24 თებერვალს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 7 თებერვალი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 27 ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის რ. ნ. გოშაძის გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. რევაზ ნიკიფორეს ძე **გოშაძე** ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 13 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 28 ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1974 წლის 3 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 13 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ რუსუდან ალექსანდრეს ასული **ჯაფარიძე** — საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

დამტკიცდნენ ამ კომისიის წევრებად:

კარლო ვლადიმერის ძე **გეგელაშვილი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

სერგო ტარასის ძე **რიგვავა** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ალექსანდრე ილიას ძე **ბუაძე** — ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი.

განთავისუფლებულ იქნენ ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან: ლუარსაბ სერგოს ძე ქავთარაძე და იური თეიმურაზის ძე ურუშაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**30** **საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ**

1973 წელს საცხოვრებელი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის წლიური პროგრამის შესასრულებლად გაწეული დიდი მუშაობისა და მოპოვებული წარმატებებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:**

1. მამია აბიბოს ძე **აბესაძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის უბნის უფროსს.
2. ალექსანდრე ვლადიმერის ძე **ალფაიძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მთავარ ინჟინერს.
3. ირაკლი გრიგოლის ძე **კაკაურიძეს** — „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.
4. ოთარ გრიგოლის ძე **კუჭავას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 16 ტრესტის მმართველს.
5. ამირან სერგოს ძე **ლაბარტყავას** — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.
6. ბორის ხარიტონის ძე **ოდიშარიას** — ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის" სახელოსნოს უფროსის მოადგილეს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლისა:**

1. გიორგი პავლეს ძე **ასპანიძეს** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" სამოქალაქო-საბინაო მშენებლობის სამმართველოს მებეტონეს.
2. კონსტანტინე ივანეს ძე **ბატმანოვს** — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის" უბნის უფროსს.
3. კარლო აკაკის ძე **გეთიას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის ელექტრომემონტაჟეს.
4. ავთანდილ ფირუზის ძე **დათიშვილს** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მეარმატურეს.
5. პეტრე ვასილის ძე **ვორონოვს** — ამიერკავკასიის ტრესტ „ტრანსმშენის" № 133 სამმართველოს მებათქაშეს.
6. ნიკოლოზ ყარამანის ძე **თვაურს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის № 7 სამმართველოს მებათქაშეს.
7. შალვა იოსების ძე **თხინვალელს** — ტრესტ ამიერკავკასიის „ტრანსმშენის" № 22 სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალ-აირშემდუღებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ხარიტონ გიორგის ძე **კორინთელს** — ტრესტ ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ სამრეწველო საწარმოთა კომბინატის ელექტროშემდუღებელს.

9. კირილე მიტროფანეს ძე **კოროლიოვს** — ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ ზეინკალთა ბრიგადირს.

10. რევაზ კონსტანტინეს ძე **კუდუხაშვილს** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს ხუროს.

11. გიორგი პეტრეს ძე **მექვაბიძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 10 კოლონის უფროს სამუშაოთა მწარმოებელს.

12. სტეფანე აკოფის ძე **მერაბიანს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მექანიკური სახელოსნოს ოსტატს.

13. სიმონ მათეს ძე **მირგათიას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის № 12 კოლონის ხუროს.

14. სერგი გენადის ძე **მახარაძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სიმინისტროს მექანიკური სახელოსნოს ოსტატს.

15. გივი კალისტრატეს ძე **ნემსაძეს** — საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს ტრესტ № 1 რკინა-ბეტონის ნაწარმთა კომბინატის მებეტონეთა ბრიგადირს.

16. ბორის სერგის ძე **პოზუშკოს** — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ თბილისის № 2 სამმართველოს უბნის უფროსს

17. დიმიტრი დიმიტრის ძე **საჯაიას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის სახლთმშენებელი კომბინატის ოსტატს.

18. იასონ მათეს ძე **სამსონიძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის № 2 სამმართველოს ხუროს.

19. ბიჭიკო გიორგის ძე **სანებლიძეს** — ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს აირშემდუღებელს.

20. ვალენტინ კონსტანტინეს ძე **სპირინს**—№ 22 სპეციალიზებური სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალ-სანტექნიკოსს.

21. იოსებ ივანეს ძე **ქიტესაშვილს** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო საბინაო მშენებლობის სამმართველოს მებეტონეს.

22. გალაქტიონ ფარნაოზის ძე **ქურციკიძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის „ჭიათურმშენის“ სამმართველოს ხუროს.

23. დავით კონსტანტინეს ძე **შენგელიას** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 25 კოლონის მღებავს.

24. შალვა სიმონის ძე **ჩარგეიშვილს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის № 1 ტრესტის № 27 კოლონის ხუროს.

25. რეზო ვასილის ძე **ჩუბინიძეს** — „მრეწვკავშირმონტაჟის“ სამმართველოს № 2 უბნის მემონტაჟეს.

26. სულეიმან ალის ძე **ხაბაძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მოსაპირკეთებელ სამუშაოთა სამმართველოს მებათქაშეს.

27. გრიგოლ გევლენის ძე **ხეჩუმოვს** — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო საბინაო მშენებლობის სამმართველოს ხუროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის:

1. მიხეილ გარეგინის ძე **კირაკოსიანს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ტრანსმშენის“ თბილისის ავტობაზის მძღოლს.
2. ვასილ პეტრეს ძე **მატვეევს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ტრანსმშენის“ თბილისის ავტობაზის მძღოლს.
3. ზურაბ იასონის ძე **ოშაყმაშვილს** — ტრესტ ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ № 131 სამმართველოს ბულდოზერის მემანქანეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 18 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 31 პროფესორ შ. ი. კერესელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-ტექნიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, სამთო მიწათმოქმედების მანქანების გენერალური კონსტრუქტორი, პროფესორი შალვა იასონის ძე **კერესელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 12 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 32 ამხ. მ. ს. მერაბიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მინერალური ნედლეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ სიმონის ძე მერაბიშვილი **დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 12 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 33 ამხ. ს. ა. ხარაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი სამსონ (სოსო) არქიფოს ძე **ხარაბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 12 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 34 ამხ. მ. კ. გუნჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, წითელწყაროს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიხეილ კონსტანტინეს ძე **გუნჩენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 13 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 35 ამხ. ი. ე. ვადლოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე ამხ. იგორ ევგენის ძე **ვადლოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 36 ამხ. კ. ნ. უკლებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მთავართბილმშენის" № 18 ტრესტის მმართველი ამხ. კირილე ნიკიფორეს ძე **უკლება** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 37 ამხ. მ. კ. შუბითიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მურმან კონსტანტინეს ძე **შუბითიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 13 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 38 ამხ. თ. ე. აბულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი თენგიზ ევგენის ძე აბულაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 39 მწერალ გეორგ გრიგის — გიორგი ანანიას ძე გრიგორიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, მწერალი **გეორგ გრიგი** — გიორგი ანანიას ძე გრიგორიანი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 40 მწერალ ი. კ. ენიკოლოფოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით, მწერალი ივანე კონდრატის ძე ენიკოლოფოვი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 41 მწერალ ე. კ. ზედგინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ელიზბარ კონსტანტინეს ძე **ზედგინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 42 მწერალ გ. გ. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი გიორგი გიორგის ძე **მარგველაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 43 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1973 წელს საცხოვრებელი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის წლიური პროგრამის შესასრულებლად გაწეული დიდი მუშაობისა და მოპოვებული წარმატებებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჰუსეინის ძე **ბარამიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კომბინატის № 5 ტრესტის მეარმატურეთა ბრიგადირი.

ამირან ვასილის ძე **ბილისეიშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 9 სამმართველოს ქვის მთლელი.

თამაზ იოსების ძე **ბერიანიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 კოლონის ელექტრო-მემონტაჟე.

ვაჟა გიორგის ძე **ბლიაძე** — ტრესტ „ამიერკავკასიის ტრანსმშენის" №. 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მშენებელი-ოსტატი.

რამაზ ვალერიანის ძე **გოგიაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

ოთარ მიხეილის ძე **დარჩიაშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 44 კოლონის მებეტონე.

არდალიონ ივანეს ძე **დახუნდარიძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველი.

გიზო იესეს ძე **დოლიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის № 1 სამმართველოს უფროსი.

თამაზ ივანეს ძე **ებრალიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ვასილ ალექსის ძე **ზარიძე** — ტრესტ „ამიერკავკასიის ტრანსმშენის" № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ქვის მთლელი.

ჟორა მიხეილის ძე **თადუმაძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტის № 1 სამმართველოს ოსტატი.

პეტრე იონას ძე **თევზაძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ალექსანდრე ვასილის ძე **იოსელიანი** — ტრესტ „ამიერკავკასიის ტრანსმშენის" № 315 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელი.

ედუარდ მოსეს ძე **იაკობაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის მმართველი.

გივი ირაკლის ძე **კუპრეიშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მმართველი.

დავით გიორგის ძე **ლანჩავა** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 4 სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ივანე თეიმურაზის ძე **ლიპარტელიანი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 22 კოლონის ქვის მთლელი.

პარმენ პარმენის ძე **მიქაძე** — საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი.

რიზა იაკუბის ძე **ნაკაშიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის მეარმატურეთა ბრიგადირი.

ჯანიკო რუბენის ძე **სირაძე** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ხუროთა ბრიგადირი.

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ღვთისოს ძე **ურჯუკაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „მშენტრანსის" თბილისის ავტობაზის მძღოლი.

ვლადიმერ მიხეილის ძე **ღოღობერიძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

რადამეს მიხეილის ძე **შიოლაშვილი** — ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის" სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი.

მარიამ იოსების ასული **ჩეხაშვილი** — საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი.

ზაურ სიმონის ძე **ხაჩიძე** — ტრესტ „საქსანტექმონტაჟის" ბრიგადირი.

ცეზარ სერგის ძე **ჯავახიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მსხვილპანელიანი სახლთსაშენებელი ქარხნის ბრიგადირი.

დავით გაბრიელის ძე **ჯობავა** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 18 თებერვალი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 28 თებერვლის სხდომაზე განიხილა საპენსიო კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა ქ. ფოთის, ზესტაფონისა და ქარელის რაიონებში. აღინიშნა, რომ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები პერიოდულად იხილავენ სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიების დანიშვნისა და გაცემის საკითხებს, სახავენ ღონისძიებებს საპენსიო კანონმდებლობის განუხრელად შესრულებისათვის.

აღნიშნული საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაცია და კოლმეურნეობათა გამგეობები გარკვეულ დახმარებას უწევენ მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეობების წევრებს საპენსიო დოკუმენტების შეგროვებასა და გაფორმებაში. მეტი ყურადღება ექცევა პენსიის საკითხებზე მთხოვნელთა მიღებას და განცხადება-საჩივრების დროულად განხილვისა და მათზე პასუხის გაცემის საქმეს.

აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებმა სათანადო მუშაობა ჩაატარეს „ინვალიდებისათვის და მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის პენსიების ოდენობის შემდგომი გადიდების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად პენსიების გადასაანგარიშებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდულად მოწმდება პენსიების დანიშვნის სისწორე, რის შედეგად ქარელისა და ზესტაფონის რაიონებში, ქ. ფოთში ამოღებულია ზედმეტად გაცემული თანხები.

ამასთან, ქ. ფოთში, ზესტაფონისა და ქარელის რაიონებში საპენსიო კანონმდებლობის განხორციელების საქმეს ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. ადგილი აქვს პენსიების დაგვიანებით დანიშვნის შემთხვევებს; ირღვევა სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიების დანიშვნის კანონით გათვალისწინებული ნორმები, რიგ მოქალაქეს პენსია ენიშნება არასწორად; დარღვევებია პენსიების ოდენობის განსაზღვრაში. სათანადო ყურადღება არ ექცევა პენსიების დროულად ჩაბარების საქმეს.

სასოფლო საბჭოების აღმასკომები, საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაცია, კოლმეურნეობათა გამგეობები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საპენსიო ასაკის მოქალაქეთა აღრიცხვასა და სათანადო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას, პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებული საჭირო საბუთების გაცემას.

ნაკლოვანებებია შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობაში. რესპუბლიკურმა კომისიამ შეცვალა ზესტაფონის რაიონის შრომითი საექსპერტო კომისიის რიგი დადგენილება ინვალიდობის ჯგუფის მიკუთვნების შესახებ; ასევე გააუქმა ქ. ფოთის შრომითი საექსპერტო კომისიის არა ერთი დადგენილება ინვალიდობის ჯგუფის მიკუთვნების შესახებ.

ქარელისა და ზესტაფონის რაიონების კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული და საკოლმეურნეო საბჭოები, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები არ ეწევიან საკმარის მუშაობას საპენსიო კანონმდებლობის განმარტებისათვის. კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში იშვიათად ტარდება ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვა ღონისძიებები.

არ წარმოებს სოცუზრუნველყოფის დარგის ყველა მუშაკის საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება; ისინი არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო ლიტერატურით: საპენსიო კანონმდებლობით, ინსტრუქციებით და სხვ.

ფოთის საქალაქო, ზესტაფონისა და ქარელის რაიონული საბჭოების აღმასკომები და საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, ასევე აღნიშნული რაიონების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ საჭირო კონტროლს პენსიების დანიშვნისას და გაცემისას კანონმდებლობის განუხრელად შესრულებაზე.

მაგალითად, ქარელის რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, ფოთის საქალაქო და ზესტაფონის რაიონული საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივ კომისიებს უკანასკნელი წლების მანძილზე არც ერთხელ არ განუხილავთ პენსიების დანიშვნასა და გაცემასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ქ. ფოთის, ზესტაფონისა და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საპენსიო კანონმდებლობის განუხრელად შესრულებისათვის. საბჭოების დეპუტატების, შესაბამისი მუდმივი კომისიების, აქტივის მონაწილეობით სისტემატურად შეამოწმონ და აღმასკომების მსჯელობის საგნად გახადონ პენსიების დანიშვნასა და გაცემასთან დაკავშირებული საკითხები;

სისტემატური კონტროლი და საჭირო დახმარება გაუწიონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს, შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები. ამასთან მეტი ყურადღება მიაქციონ ამ განყოფილებათა დაკომპლექტებას სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკებით;

აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ საკითხი საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში საპენსიო დოკუმენტების სწორად გაფორმების, შენახვის და დროულად წარდგენის მდგომარეობის შესახებ;

არ დაუშვან პენსიების არასწორად და დაგვიანებით დანიშვნა, ყოველი ასეთი შემთხვევა არ დატოვონ რეაგირების გარეშე. კონტროლი გაუწიონ პენსიების დროულად ჩაბარებას;

გაშალონ სათანადო მუშაობა მშრომელთა ფართო მასებში საპენსიო კანონმდებლობის განმარტების მიზნით. ამ საქმეში ჩააბან სასამართლოს და პროკურატურის მუშაკები;

მეტი ყურადღება მიაქციონ შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობას. პერიოდულად შეამოწმონ მათი მუშაობა და დასახონ ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაევალა უფრო ქმედითი კონტროლი და დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს საპენსიო კანონმდებლობის განხორციელებაში.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ უნდა შეამოწმოს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში პენსიების ჩაბარების მდგომარეობა და მიიღოს ზომები ამ საქმის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ სისტემატურად შეამოწმონ პენსიების დანიშვნისა და გაცემის საკითხები და განახორციელონ ღონისძიებანი საპენსიო კანონმდებლობის განუხრელად შესრულებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო, ზესტაფონისა და ქარელის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უნდა მოახსენონ 1974 წლის ბოლოს.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 28 თებერვლის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის ამხ. მ. მაღრაძის მოხსენება სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. აღინიშნა, რომ სამინისტროს მიერ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულმა ღონისძიებებმა განაპირობეს წვრილმანი გატაცების შემთხვევათა შემცირება.

ბრძანებულების განმარტების მიზნით სამინისტრომ ჩაატარა საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების რესპუბლიკური შეკრება; იგი ცალკეულ საწარმოებში პერიოდულად ამოწმებს ბრძანებების შესრულებას და შედეგებს იხილავს კოლეგიის სხდომებზე.

ამასთან ერთად, ბრძანებულების განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

საწარმოების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიმართ, და, რაც მთავარია, არ იღებენ ზომებს წვრილმანი გატაცების ხელის შემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად.

რიგ საწარმოებში არ აღრიცხავენ წვრილმანი გატაცების ფაქტებს და არ ამოწმებენ მზა პროდუქციის რაოდენობას ქარხნის ტერიტორიიდან გატანის დროს (თბილისის რეზინის ნაწარმისა და სათამაშოების ფაბრიკები, დუშეთის სამრეწველო კომბინატი).

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი საჭირო ყურადღებით არ ეკიდება წვრილმანი გატაცების ფაქტებს; ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს მათს მიჩქმალვას.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიერ საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტური რევიზიების ჩატარებისას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წვრილმანი გატაცების გამომწვევი მიზეზებისა და ხელის შემწყობი პირობების გამორკვევას. იშვიათია მოულოდნელი რევიზიები, არარეგულარულად ტარდება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

საწარმოთა ხელმძღვანელები რეაგირების გარეშე ტოვებენ სახალხო ან ამხანაგური სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე გამოტანილ დადგენილებებს. წვრილმანი გატაცების შემთხვევებს არ ხდიან მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მსჯელობის საგნად.

წვრილმანი გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

არის შემთხვევები, როცა მილიციის ორგანოებსა და ამხანაგურ სასამართლოებს დაგვიანებით უგზავნიან მასალებს წვრილმანი გატაცების შესახებ, ხოლო ისინი, თავის მხრივ, ხშირად არღვევენ საქმის განხილვისათვის კანონით დადგენილ ვადებს.

არღვევა საქმეების განხილვის ვადები სახალხო სასამართლოებშიც, ამ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტის დროს სასჯელის ზომად, როგორც წესი,

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარიმას იყენებენ, რაც ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს წვრილმანი გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

საწარმოებსა და დაწესებულებებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოციალისტური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის განმარტება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

გააძლიეროს მოთხოვნილობა საწარმოთა ხელმძღვანელებისადმი მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შემდგომ გასაუმჯობესებლად;

მიიღოს ზომები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სათანადო აღრიცხვისა და დაცვისათვის, პრაქტიკაში დანერგოს მოულოდნელი რევიზიების ჩატარება, მეტი ყურადღება მიაქციოს ინვენტარიზაციის, რევიზიებისა და შემოწმებების ჩატარების ხარისხს;

დაავალდებულოს საწარმოთა ხელმძღვანელები, რათა შესაბამის ორგანოებს დროულად გადასცენ მასალები იმ პირთა შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს სოციალისტური საკუთრების წვრილმანი გატაცება;

რეგულარულად გამოავლინოს ცალკეულ საწარმოებში სოციალისტური ქონების გატაცების ხელის შემწყობი და წარმომშობი მიზეზები და მიიღოს გადამჭრელი ზომები მათ სალიკვიდაციოდ;

მოთხოვოს საწარმოთა ხელმძღვანელებს — თავიანთ კოლექტივებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, შექმნან სოციალისტური საკუთრების ხელმყოფთა გაკიცხვისა და მიუტევებლობის ატმოსფერო, წვრილმანი გატაცების ყოველი ფაქტი გახადონ კოლექტივის მსჯელობის საგნად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რჩევა მიეცა მიიღოს ზომები არასაუწყებო დაცვის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მითითება მიეცა უზრუნველყოს სახალხო სასამართლოების მიერ წვრილმან გატაცებასთან დაკავშირებული საქმეების დაწესებულ ვადებში განხილვა.

საქართველოს სსრ პროკურატურამ უნდა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონმდებლობის ზუსტად განხორციელებაზე.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ კონტროლი დააწესონ „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულების შესრულებაზე. ამ საქმეში ჩააბან მუდმივი კომისიები, დეპუტატები და ფართო საზოგადოებრიობა.

რჩევა მიეცა საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოს პროფკავშირების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ქმედითი დახმარება გაუწიოს ამხანაგურ სასამართლოებს, გაზარდოს მათი როლი სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

**ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის** მუდმივმა კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ბერიძის მოხსენება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 1 ავტოტრესტის მიერ ქ. თბილისის საწარმოების სატვირთო ავტოტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოებმა ძირითადად უზრუნველყვეს 1973 წლის საწარმოო გეგმების შესრულება.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოთა მუშაობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს. ავტოტრესტში გაერთიანებულ 12 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოდან 1973 წლის გეგმა ვერ შეასრულა 3 ავტოსატრანსპორტო საწარმომ. (თბილისის № 8 ავტოსატრანსპორტო საწარმომ და №№ 2651, 2652 ავტოკოლონებმა).

ტრესტმა და მასში შემავალმა სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოებმა ვერ მიაღწიეს წლის დასაწყისშივე ტვირთების გადაზიდვებზე რეალური განაცხადების მიღებას. რიგმა სამინისტრომ და ორგანიზაციამ ავტოსატრანსპორტო საწარმოებს ხელშეკრულება არ გაუფორმა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სახელმწიფო გეგმების შესრულებაზე. ზოგიერთმა ორგანიზაციამ კი მიუხედავად ხელშეკრულებისა ტვირთები გადასაზიდად არ წარმოადგინა. ტვირთების წარმოუდგენლობისათვის ავტოტრესტის მიერ 1973 წელს დაჯარიმებულ იქნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგური, ლითონის ბაზა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მარნეულის საკარიერო სამმართველო.

არის შემთხვევები, როცა ტვირთგამგზავნი და მიმღები ორგანიზაციები დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისა და მექანიზმების ნაკლებობის გამო არარაციონალურად იყენებენ სატვირთო ავტომანქანებს.

ტრესტი ვერ ასრულებს სატვირთო ავტომანქანების ხაზზე გაშვების და გარბენით გამოყენების კოეფიციენტს. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანების ხაზზე გაშვების ფაქტებს, ადგილი აქვს ავტომანქანების გამოყენებას პირადი გამორჩენის მიზნით. ავტომეურნეობები განიცდიან მძღოლების დიდ ნაკლებობას. დაბალია საწარმოო დისციპლინა.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

**მშენებლობის**, კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. ქუჩულორიას მოხსენება. მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს რომ ბოლო დროს ქ. ზუგდიდში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია ჩატარებული მოსახლეობის კომუნალური მომსახურების და კეთილმოწყობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სათანადო ყურადღება ექცევა საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობას, გაუმჯობესდა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, კეთილმოეწყო ქუჩები, გაკეთდა ხიდბოგირები, აშენდა სანიაღვრე კოლექტორები, საერთო სარგებლობის ადგილებში და წარმოება-დაწესებულებათა ეზოებში ჩატარდა გამწვანების სამუშაოები, გაუმჯობესდა ქალაქის სასმელი წყლით მომარაგება.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო და მისი აღმასკომი პერიოდულად სწავლობენ და იხილავენ მოსახლეობის კომუნალური მომსახურების და ქალაქის კეთილმოწყობის მდგომარეობის საკითხებს.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ამ დარგში ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც.

სათანადო ყურადღება არ ექცევა კომუნალური ბინების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას.

10 წელზე მეტია რაც ჭიანურდება ქალაქის კანალიზაციის ქსელის მშენებლობა (დამკვეთი კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, მოიჯარადრე ენგურჰესის მშენებლობის სამმართველო).

ნაკლოვანებებია საცხოვრებელი სახლების ცენტრალური გათბობის მოწყობის საქმეში. ოქტომბრის ქ. № 49 მდებარე 3-სართულიან სახლში 10 წლის წინათ დამონტაჟებული გათბობის გაყვანილობა დღემდე არ მოქმედებს. ანალოგიური მდგომარეობაა ოქტომბრის ქ. № 35-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში.

ნაკლოვანებებია სასმელი წყლის ხარჯვის საქმეში. ქალაქის უმეტესი ორგანიზაციები არ ასრულებენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას წყალმზომების დაყენებისა და წყლის ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ.

ქალაქის ელექტრომეურნეობა მოძველებულია, ხაზები ავარიულ მდგომარეობაშია, არაა მოწყობილი მეორე სათადარიგო ძალოვანი ტრანსფორმატორი.

ქალაქის არსებული 272 ქუჩიდან იგვება მხოლოდ 22 ქუჩა. ამასთან დასუფთავების ხარისხი დაბალია, შეფერხებებით სწარმოებს ნაგვის გატანა. გაუმჯობესებას საჭიროებს სკვერების და ხეივნების მოვლა-პატრონობა.

რეგულარულად არ წარმოებს ქუჩების მონიშვნის ხაზების აღდგენა, ზოგან დაზიანებულია ავტოსაგზაო ნიშნები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი, შესაბამისი მუდმივი კომისია, დეპუტატები არ ატარებენ ყველა მათზე დამოკიდებულ ღონისძიებას ქალაქის კეთილმოწყობის საქმის გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

**ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების** მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ ვაჭრობისა და მსუბუქი მრეწველობის მინისტრების ამხ. ამხ. მ. მეგრელიშვილის, გ. გამცემლიძის და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის კ. შავიშვილის ინფორმაციები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ბავშვთა ტანსაცმლით, ტრიკოტაჟის ნაწარმით და ფეხსაცმლით ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ბავშვთა ტანსაცმლით, ტრიკოტაჟის ნაწარმით და ფეხსაცმლით მოვაჭრე მაღაზიების ქსელი 1973 წელს 1972 წელთან შედარებით გაიზარდა 38,9%-ით. ამ საქონლის გაყიდვა სწარმოებს ახალი პროგრესული ფორმების და მეთოდების გამოყენებით.

ამასთან ერთად მომხსენებლებმა და სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ბავშვთა ტანსაცმლით, ტრიკოტაჟის ნაწარმით და ფეხსაცმლით ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეში მთელი რიგი ნაკლოვანებებია.

ხშირად ირღვევა სამრეწველო საწარმოების მიერ ასორტიმენტი, სათანადოდ არაა შესწავლილი მოსახლეობის მოთხოვნილება ამ საქონელზე.

სავაჭრო ქსელში ხშირ შემთხვევაში არ არის ბავშვების ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის ნაწარმის და ფეხსაცმლის ფართო ასორტიმენტი.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტებს. მაგალითად, ქ. ჭიათურის მარგანტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებამ 1973 წელს დაუბრუნა თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკას 5 ათასი მანეთის ღირებულების შეკერილი ტანსაცმელი, ქ. ქუთაისის № 1 სამკერვალო გაერთიანებამ დაბალი ხარისხის საბავშვო ტანსაცმელის გამოშვებისათვის მიიღო 26 რეკლამაცია, საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათმა“ მიიღო 5 რეკლამაცია, თბილტანსაცმელვაჭრობის მიერ 1973 წელს ამ ასორტიმენტის საქონელზე შედგენილია წუნდების 21 აქტი.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ განიხილა აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სტუდენტთა და მოსწავლეთა კვების მდგომარეობის საკითხი. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სტუდენტთა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია.

საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები სტუდენტთა სასადილოებს და ბუფეტებს ხშირ შემთხვევაში არ ამარაგებენ სათანადო ოდენობის და ხარისხის პროდუქტებით. დამზადებული კერძები ერთფეროვანია. **იშვიათად მზადდება კერძები ბოსტნეულის და რძის ნაწარმისაგან.** უმეტეს სასადილოებსა და ბუფეტებში არ მზადდება დიეტური საჭმელები, გამოყოფილი არაა დიეტური კუთხეები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კომპლექსური სადილების მომზადებას, აბონემენტებით ვაჭრობას და სხვა.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის, ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის, თბილისის პირველი და მეორე მუსიკალური სასწავლებლების ბუფეტებში არ არის ხორციანი საჭმელები და ცხელი საუზმე, იშვიათად არის გაყიდვაში რძე და რძის ნაწარმი.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

არასაკმარისი რაოდენობით მარაგდება რძით და რძის ნაწარმით თბილისის სამხატვრო აკადემიის, ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა სასადილოები. ანალოგიური მდგომარეობაა სტუდენტთა ქალაქის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში.

ნაკლოვანებებია სასადილოების და ბუფეტების სავაჭრო-ტექნოლოგიური დანადგარებით და მოწყობილობით უზრუნველყოფის საქმეში, აკლიათ ჭურჭელი, ინვენტარი და ავეჯი.

არაა მოგვარებული სტუდენტთა სასადილოებსა და ბუფეტებში დასაჯდომი ადგილების საკითხი, სასადილოებში სტუდენტთა დასაჯდომი ადგილებით უზრუნველყოფა დაბალია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის პედსასწავლებლებში, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, ქუთაისის ავტოტექნიკურ ტექნიკუმში და სხვა სასწავლებლებში.

მუდმივი კომისიის ამავე სხდომაზე განხილული იქნა რესპუბლიკაში უალკოჰოლო სასმელებით ვაჭრობის მდგომარეობის საკითხი, აღინიშნა, რომ ამ მიმართებით ჩატარებულია გარკვეული მუშაობა.

უალკოჰოლო სასმელებით მოვაჭრე საზოგადოებრივი კვების საწარმოების რიცხვი უკანასკნელ სამ წელიწადში 92-დან 221-მდე გაიზარდა, შესაბამისად სპეციალიზირებული კაფეების რიცხვი — 38-დან 46-მდე.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში უალკოჰოლო სასმელებით ვაჭრობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია.

*
* *

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის, დეპუტატ პ. ჟღენტის მოხსენება რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პირუტყვის, ფრინველის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში მონაწილე მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ შ. ვერულაშვილმა, ი. სარიშვილმა, ვ. უტიაშვილმა, ვ. მამათელაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დ. ნიკურაძემ, საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილემ ზ. მანთაშაშვილმა აღნიშნეს, რომ წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა პირუტყვისა და ფრინველის ჯიშობრივი და სტრუქტურული შემადგენლობა, გადიდდა ზოგიერთი სახეობის პირუტყვის და ფრინველის სულადობა და ამაღლდა მათი კონცენტრაციის დონე, შემცირდა პირუტყვის და ფრინველის დაცემა-დანაკლისი და იძულებითი დაკვლა.

უმრავლეს მეურნეობებში გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმები.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებს ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

ზოგიერთ მეურნეობაში პირუტყვის სადგომები კეთილმოუწყობელია, მექანიზებული არ არის შრომატევადი პროცესები, ზოგიერთ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების დონე არასაკმარისია.

ზოგიერთი მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, მათი სოფლის მეურნეობის სამმართველოები, საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები სუსტად მუშაობენ შინაგანი რეზერვების გამოსავლინებლად, თვითღირებულების შესამცირებლად და რენტაბელობის ასამაღლებლად, გადამჭრელ ზომებს არ ღებულობენ პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გეგმების შესასრულებლად. ჯერ კიდევ დიდია ისეთი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რიცხვი, რომელნიც ხორცის სახელმწიფო დამზადების გეგმას ასრულებენ დაბალი შეხორცების, მცირე წონის პირუტყვის ჩაბარებით, რის შედეგად პირუტყვის სულადობის ხელოვნურ შემცირებასთან ერთად მცირეა ფულადი შემოსავლებიც.

რესპუბლიკის რიგ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დროულად არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი პირუტყვისა და ფრინველის დაავადებათა სწრაფი ლიკვიდაციისათვის.

ნაკლოვანებებია სანაშენე პირუტყვის ხელოვნური დათესლვის საქმეშიც.

განხილული საკითხების გამო მუდმივმა კომისიებმა მიიღეს სათანადო დადგენილებები.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 428 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 36 |
| ქ. ფოთიდან | | 6 |
| ახალციხის | რაიონიდან | 8 |
| ახმეტის | „ | 20 |
| ბოგდანოვკის | „ | 16 |
| გარდაბნის | „ | 21 |
| დუშეთის | „ | 2 |
| ზესტაფონის | „ | 2 |
| ზუგდიდის | „ | 9 |
| ლაგოდეხის | „ | 7 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლანჩხუთის „ . . . . . . . . . 4
ლენტეხის „ . . . . . . . . . 36
მარნეულის „ . . . . . . . . . 167
მესტიის „ . . . . . . . . . 17
საგარეჯოს „ . . . . . . . . . 23
სამტრედიის „ . . . . . . . . . 10
სიღნაღის „ . . . . . . . . . 1
ყაზბეგის „ . . . . . . . . . 4
წალენჯიხის „ . . . . . . . . . 13
სამხრეთ ოსეთის ა/ო . . . . . . . . . 26

## საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების სესიებზე

(1973 წლის ნოემბერი — 1974 წლის თებერვალი)

ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე — **ფოთის საქალაქო საბჭო.**

საგეგმო-საბიუჯეტო, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების ანგარიშები — **ასპინძის და სიღნაღის რაიონული საბჭოები.**

რაიონის სკოლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — **სამტრედიის რაიონული საბჭო.**

რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და 1974 წლის სახელმწიფო გეგმის დამტკიცების შესახებ;

რაიონის 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და 1974 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ — **სიღნაღის რაიონული საბჭო.**

აღმასკომების ანგარიში 1973 წლის მუშაობის შესახებ — **ყველა რაიონული და საქალაქო საბჭო.**